საქართველოს მთავრობის

დადგენილება №156

2022 წლის 29 მარტი

ქ. თბილისი

„2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №4 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/01/2022, 470000000.10.003.023211) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ 22-ე მუხლის:

1. 22-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 22^1 პუნქტი:

„22^1. პროგრამაში მონაწილე ნებისმიერი სტაციონარული დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოში ახალი კორონავირუსის – COVID-19-ის შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირებისა და მზადყოფნისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მითითების შესრულება. აღნიშნულის შეუსრულებლობა გამოიწვევს პროგრამაში მონაწილისათვის მიმწოდებლის სტატუსის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერებას 6 თვის ვადით.“.

2. 23-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„23. ამ მუხლის 22-ე და 22^1 პუნქტების შესაბამისად, მიმწოდებლისათვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია, გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას, თუ სასამართლომ განჩინებით სხვა რამ არ დაადგინა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**